სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

03 ივნისი 2026

N 21/7813

შპს „ბი ემ სი“-ს
ელ. ფოსტა: zaalKvitsiani@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი №6823 წერილით წარმოდგენილი საქმიანობის – სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების (ბუნებრივი ქვის დამუშავება) სკრინინგის განცხადება და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში სრულად არ არის გათვალისწინებული სააგენტოს 2026 წლის 4 მაისის №21/6036 წერილში მითითებული საკითხები, კერძოდ:

ა) ვინაიდან მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ საწარმოს განთავსების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 84.10.34.000.067) მომიჯნავედ, კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 84.10.34.000.063; 84.10.34.000.068) ფიქსირდებოდა ქვის ლოდები, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ მოთხოვნილი იქნა დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა, ხოლო სკრინინგის განცხადება, შემდგომი რეაგირების მიზნით, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს გადაგზავნა. ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ **„საპროექტო ტერიტორია სამი მხრიდან მხრიდან შემოსაზღვრულია ძლიერ დაქვიანებული საძოვრებით“,** ასევე აღნიშნულია, რომ **„საწარმოს ტერიტორიის ირგვლივ დაყრილია რამოდენიმე წლის წინ, ვიღაცის მიერ მოტანილი ბაზალტის ლოდები“**, რაც ფაქტობრივ მდგომარეობასთან შეუსაბამოა. კერძოდ, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ 84.10.34.000.063 და 84.10.34.000.068 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ბაზალტის ლოდები დასაწყობებულია შპს „ბი ემ სი“-ს მიერ. შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების არამიზნობრივი გამოყენების ფაქტზე, 2026 წლის 13 მაისს, შპს „ბი ემ სი“-ს მიმართ, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 53-ე მუხლის საფუძველზე, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №101000 ოქმი, რომელიც 2026 წლის 15 მაისს განსახილველად გადაეგზავნა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკრინინგის განცხადებაში კვლავ დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში გადასამუშავებლად განკუთვნილი სასარგებლო წიაღისეულის (ბაზალტის ლოდები) დასაწყობების ადგილის ან/და საწარმოს განთავსებისათვის განკუთვნილი ტერიტორიის შესახებ ინფორმაცია, რაც შესაბამისად უნდა აისახოს სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ shp-ფაილში. ამასთან, 84.10.34.000.063 და 84.10.34.000.068 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწარმოს ტერიტორიად გამოყენების შემთხვევაში, სკრინინგის

განცხადებას თან უნდა დაერთოს აღნიშნული მიწის ნაკვეთებით სარგებლობის უფლების და მათი მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ბ) სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საწარმოში წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით, რომელიც საწარმოს ტერიტორიაზე ავტოცისტერნით შევა. აღნიშნული ინფორმაცია ფაქტობრივ მდგომარეობასთან შეუსაბამოა. კერძოდ, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს ფუნქციონირებისთვის საჭირო წყალაღება ხდება ზედაპირული წყლის ობიექტიდან, რაზეც „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 82^{2} მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე (ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევა), შპს „ბი ემ სი“-ს მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №101000 ოქმი. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში საწარმოს წყალმომარაგების წყაროს შესახებ ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები, წყალაღებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა (shp-ფაილში დატანით), ზედაპირული წყლის ობიექტის ჰიდროლოგიური მახასიათებლები, თვეების მიხედვით ასაღები წყლის რაოდენობები (წლის ჭრილში), აგრეთვე ზედაპირული წყლის ობიექტზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია.

გ) სკრინინგის განცხადებაში, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის ზემოქმედების გავრცელების არეალში არსებული ბიომრავალფეროვნების დეტალური აღწერა (ჰაბიტატები, მცენარეები, ცხოველები) და საქმიანობის განხორციელების შედეგად ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების ანალიზი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული საკითხების დაზუსტებამდე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის 5^{1} ნაწილის საფუძველზე, სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/7813-21-2-202606031703

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი
QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE